სახელმწიფო ბიუჯეტის არარაციონალური ხარჯვა, პარტიული ინტერესების გაძლიერების მიზნით

2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ,,ქართულმა ოცნებამ“ ადამიანის ძირითადი უფლებების წინააღმდეგ მიმართული მთელი რიგი რეპრესიული კანონები მიიღო. ამასთან, ბოლო პერიოდში შემუშავებული არაერთი საკანონმდებლო ცვლილება/ინიციატივა უპირატეს მდგომარეობაში აყენებს სახელმწიფო უწყებებსა და მათ წარმომადგენლებს.

ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებიდან გამომდინარე (26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები, საპროტესტო აქციების დროს გამოყენებული არაპროპორციული ძალა, მშვიდობიანი მოქალაქეების დაშინება/ფიზიკური ანგარიშსწორება, უკანონო დაკავებები, მიკერძოებული სასამართლო და სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უმოქმედობა), განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა, რომ არ არსებობს დამოუკიდებელი უწყება (მათ შორის, ის უწყებები, რომლებიც, კანონის შესაბამისად, ყოველგვარი გავლენისაგან დამოუკიდებლად უნდა ფუნქციონირებდეს). **ბოლო პერიოდში შემუშავებული ინიციატივები კი წარმოადგენს სახელმწიფო რესურსების მიზანმიმართულად, პოლიტიკური მოტივით განაწილების პრაქტიკას, რაც კიდევ უფრო აძლიერებს პარტიულ გავლენებს სახელმწიფოს სხვადასხვა უწყებებზე.**

ქვემოთ განხილულია „ქართული ოცნების“ მიერ შემუშავებული ინიციატივები, რომლებიც მიზნად ისახავს ინსტიტუციურად დამოუკიდებელი ორგანოებისა და მათი წარმომადგენლებისადმი პოლიტიკური ლოიალობის მოპოვებას. ეს ინიციატივები მათ ეკონომიკური სარგებლის ან/და სხვა ტიპის უპირატესობების მინიჭებით აყენებს პრივილეგირებულ მდგომარეობაში, რაც ცალსახად წარმოადგენს, კანონმდებლობით დამოუკიდებელი უწყებების საქმიანობაზე გავლენის მოხდენისა და მათ შორის არსებული პოლიტიკური ნეიტრალიტეტის შესუსტების მცდელობას.

სპეციალური საგამოძიებო სამსახური

2024 წლის 31 დეკემბერს ირაკლი კობახიძის განკარგულებით, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსს - კარლო კაციტაძეს, სახელმწიფო დაცვა დაენიშნა.

,,სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს იმ პირთა ჩამონათვალს, რომელთაც უფლება აქვთ სახელმწიფოს დაცვით ისარგებლონ. თუმცა, კარლო კაციტაძესა და გიორგი კალანდარიშვილს დაცვა გამონაკლისის წესით დაენიშნათ. განკარგულებაში სახელმწიფო დაცვის დანიშვნის საფუძვლად, "სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტია მითითებული, რომლის მიხედვითაც, უნდა არსებობდეს ,,საკმარისი მონაცემები, რომ მის ან მისი ოჯახის წევრების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება".

მას შემდეგ, რაც ირაკლი კობახიძემ საზოგადოებას ,,ქართული ოცნების“ გადაწყვეტილება გააცნო, ევროკავშირთან მოლაპარაკების შეწყვეტასთან დაკავშირებით, საქართველოს ბევრ ქალაქში მასშტაბური და მუდმივი პროტესტი დაიწყო. მანამდე, 2024 წლის აპრილი/მაისი, მშვიდობიანი აქციები მიმდინარეობდა ე.წ რუსული კანონის ხელახლა ინიციირება/მიღებასთან დაკავშირებით. ამ დროს, სამართალდამცავებმა არაერთ შემთხვევაში გადაამეტეს უფლებამოსილებას, დაარბიეს მშვიდობიანი აქციები, უკანონოდ გამოიყენეს სპეციალური საშუალებები, ფიზიკურად გაუსწორდნენ უკანონოდ დაკავებულებს (ნოემბრის შემდეგ განხორციელებული სასტიკი ქმედებები წამებად შეფასდა), მათი სამიზნე განსაკუთრებით მედიის წარმომადგენლები იყვნენ. ***მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ფაქტები არაერთი მტკიცებულებით დასტურდება (მედიის მიერ გავრცელებული კადრები), კანონის მიხედვით, პარტიული ინტერესებისაგან დამოუკიდებელ სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს, ამ დრომდე, არც ერთი სამართალდამცავი არ დაუსჯია.***

საკონსტიტუციო სასამართლო

ირაკლი კობახიძის გადაწყვეტილებით, სახელმწიფო დაცვა დაენიშნა საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილ თავმჯდომარეს - მერაბ ტურავასაც. განკარგულების მიხედვით, მერაბ ტურავას დაცვა 2026 წლის 1-ელ აპრილამდე, **,,საჭიროების გასვლამდე“** დაენიშნა. ,,სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დასაცავ პირთა შორის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეცაა.

საქართველოს მთავრობის დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარისთვის უფლებამოსილების ვადის გასვლის/შეწყვეტის შემდეგ პერსონალური დაცვის გაგრძელების შესახებ. ***თუმცა, ამისთვის აუცილებელია, არსებობდეს საკმარისი მონაცემები ან შესაბამისი სამსახურებიდან მიღებულია ინფორმაცია, რომ მის ან მისი ოჯახის წევრების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება.*** გამომდინარე იქიდან, რომ არ არსებობს მსგავსი ობიექტური გარემოება, დაცვის გაგრძელების მიზეზად კი მითითებულია ზოგადი ,,საჭიროება“, ამ შემთხვევაშიც ჩნდება საფუძვლიანი განცდა, რომ სახელმწიფოს რესურსი არარაციონალურად, ვიწრო პარტიული ინტერესებისთვის გამოიყენება. მერაბ ტურავა განსაკუთრებით ბოლო პერიოდში ,,ქართული ოცნების“ სასარგებლო გადაწყვეტილების მიღებით გამოირჩევა და მის ობიექტურობასთან დაკავშირებით არგუმენტირებული კითხვები არსებობს. მერაბ ტურავამ მხარი დაუჭირა საქართველოს პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის მიერ ქვეყნის კონსტიტუციის დარღვევის საკითხს.

პარტიული მიკერძოება განსაკუთრებით კარგად ჩანს საქართველოს პრეზიდენტთან მიმართებით. სალომე ზურაბიშვილს სახელმწიფო დაცვა 2024 წლის დეკემბრიდან მოუხსნეს. განსხვავებით საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარისგან, ამ შემთხვევაში, კანონი პირდაპირ ითვალისწინებს სახელმწიფო დაცვის გაგრძელებას. კერძოდ, კანონის მიხედვით,

საქართველოს პრეზიდენტს სახელმწიფო დაცვა უნარჩუნდება 1 წლის ვადით უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ ან უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ.

ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილებები ნათელყოფს, რომ ,,ქართული ოცნება" არა კანონის, არამედ პირადი პარტიული ინტერესებით ხელმძღვანელობს, რისთვისაც სახელმწიფო ბიუჯეტს იყენებს.

ცენტრალური საარჩევნო კომისია

2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებმა მასშტაბური დარღვევების ფონზე ჩაიარა. საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მედიებისა და ოპოზიციური პარტიების მიერ მოპოვებული არაერთი მტკიცებულება მოწმობს, რომ არჩევნების წინა პერიოდის და მიმდინარეობის მასშტაბურმა დარღვევებმა, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საბოლოო შედეგებზე. ამ დრომდე, არჩევნების შედეგებს საერთაშორისო ლეგიტიმაცია არ გააჩნია. მანამდე (2024 წლის აგვისტოში), ცენტრალური საარჩევნო კომისიის შენობასთან 3 მეტრიანი ღობე დაამონტაჟეს (ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე), რომლის ღირებულებამაც 300 000 ლარზე მეტი შეადგინა.

არჩევნების მასშტაბურ გაყალბებას წინ უძღოდა (10 ოქტომბერს) ცესკოს თავმჯდომარისთვის სახელმწიფოს დაცვის დანიშვნა. არჩევნებიდან 3 დღით ადრე კი ირაკლი კობახიძის გადაწყვეტილებით, მათ შორის, სტრატეგიული ობიექტების ჩამონათვალს ცენტრალური საარჩევნო კომისია, მთავრობის ადმინისტრაცია, საპატრიარქო დაემატა. აღნიშნული ცვლილება სისხლის სამართლის კოდექსის მიზნებისთვის განისაზღვრა, რომლის მიხედვით, **სტრატეგიული ან განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის ხელში ჩაგდება ან ბლოკირება, რამაც შეაფერხა ან შეეძლო შეეფერხებინა ამ დაწესებულების ან ობიექტის ნორმალური მუშაობა ისჯება საპატიმრო სასჯელით (სსკ-ის 222-ე მუხლი).**

წინასაარჩევნოდ ზემოთ აღნიშნული ცვლილების განხორციელებით, ნათელია, რომ ,,ქართული ოცნება" ემზადებოდა იმ საპროტესტო ტალღისთვის, რაც შესაძლოა, არჩევნების მასშტაბურ გაყალბებას მოჰყოლოდა. მის მიერ მიღებული ცვლილებები (მათ შორის, სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების ნუსხის ცვლილებას) კი, მიზნად ისახავს, მშვიდობიან დემონსტრანტებში შიშის დანერგვას და შეკრების/გამოხატვის უფლებაზე მსუსხავი ეფექტის მოხდენას.

გარდა ამისა, 2024 წლის დეკემბერში ცენტრალური კომისიის წევრების ხელფასები გაიზარდა. ამის შედეგად, ცესკო-ს კომისიის თავმჯდომარის ხელფასი 12 410 ლარით, ხოლო კომისიის თითოეული წევრის ხელფასი 9 928 ლარით განისაზღვრა. მოგვიანებით, 2025 წლის იანვარში, ,,ქართულმა ოცნებამ" დაინიციირა კანონის პროექტი, რომლის მიხედვითაც, ცესკოს წევრებს დამატებით სახელმწიფო კომპენსაციები დაენიშნათ. შესაბამისად, თავმჯდომარის

შემთხვევაში, კომპენსაციის ოდენობა, დაახლოებით, 4 137, ხოლო წევრების შემთხვევაში 3 309 ლარს შეადგენს. კანონპროექტის განმარტებითი ბარათის მიხედვით, ცვლილების მიზანი ცესკოს წევრების ფუნქციების გათვალისწინებით, მათი სათანადო გარანტიების შექმნის უზრუნველყოფაა.

2025 წლის მარტში, მთავრობის კიდევ ერთ დადგენილებაში შევიდა ცვლილება (მთავრობის 2014 წლის 18 მარტის №242 დადგენილება) და ცესკო-ს თავმჯდომარეს და წევრებს იარაღის ტარების უფლება მიენიჭათ. იმ პირთა ჩამონათვალს, რომელთაც საშტატო იარაღის ტარების უფლება აქვთ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და არჩეული წევრების დაემატა.

საზოგადოებრივი მაუწყებელი

2024 წლის 31 ოქტომბერს ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს N586 გადაწყვეტილებით, 2025 წლის 1-ელი იანვრიდან გენერალური დირექტორის შრომითი ანაზღაურება 16 250 ლარით განისაზღვრა. რაც შეეხება საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტს, ის 2024 წლის მსგავსად 101 მილიონი ლარი იქნება.

განსაკუთრებით ბოლო პერიოდში ქვეყანაში მიმდინარე მწვავე პოლიტიკური პროცესებიდან გამომდინარე, საპროტესტო აქციების ერთ-ერთი მთავარი დანიშნულების ადგილი საზოგადოებრივი მაუწყებელია. დემონსტრანტების მთავარი მოთხოვნა ტელევიზიის ობიექტურობა და პარტიული ინტერესებისგან დამოუკიდებლობაა. საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენელთა ნაწილი ღიად აკრიტიკებდა მედიის სარედაქციო პოლიტიკას, რომელიც პირდაპირ იმეორებს ,,ქართული ოცნების“ ნარატივს. 11 აპრილს, ღია კრიტიკის გამო, ჟურნალისტთა ნაწილი ტელევიზიიდან გაათავისუფლეს, მოგვიანებით კი რამდენიმე მათგანმა ტელევიზია საკუთარი ინიციატივით დატოვა.

საქართველოს პარლამენტი

,,ქართული ოცნების“ ინიციატივით 2025 წლის 1-ელი იანვრიდან პარლამენტის წევრების ხელფასები გაიზარდა და შემდეგნაირად განისაზღვრა:

პარლამენტის თავმჯდომარის ხელფასი 6 740 ლარიდან 14 600 ლარამდე, პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის - 6 400 ლარიდან 13 432 ლარამდე, ხოლო მოადგილის - 6 340 ლარიდან 13 140 ლარამდე გაიზარდა.

საპარლამენტო კომიტეტისა და ფრაქციის თავმჯდომარეს ხელფასი 5 540 ლარიდან 12 556 ლარამდე, ხოლო კომიტეტისა და ფრაქციის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს – 4 800 ლარიდან 12 410 ლარამდე გაეზარდა. კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ხელფასი 4 740 ლარის ნაცვლად 11 972 ლარი გახდა. იმ პარლამენტის წევრს კი, რომელიც არ არის თანამდებობის პირი, 4 624 ლარის ნაცვლად ხელფასი 11 680 ლარი აქვს.

***

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, 2024 წელს საბიუჯეტო ორგანიზაციებში პრემიების/დანამატების სახით, 527,5 მილიონი ლარი გაიცა, რაც ბოლო 10 წლის განმავლობაში რეკორდული მაჩვენებელია. კერძოდ, 2024 წელს ყველაზე მეტი სახელმწიფო დანამატი შინაგან საქმეთა სამინისტროში - (168 742 405 ლარი), სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურსა (27 905 595 ლარი) და საერთო სასამართლოებში (25 614 519 ლარი) გაიცა. ამასთან, ყველაზე მეტი პრემია კვლავ შინაგან საქმეთა სამინისტროში გაიცა (16 118 339 ლარი).

***

მაშინ, როდესაც 2024 წელს მთელმა რიგმა უწყებებმა სახელმწიფო ბიუჯეტიდან დიდი რაოდენობით პრემია/დანამატები მიიღეს და 2025 წლის პირველი იანვრიდან მთელ რიგ სახელმწიფო სტრუქტურებში მომუშავე პირებს ხელფასები, ფაქტობრივად, გაუორმაგდა, პენსია 70 წლის და მეტი ასაკის ადამიანისთვის მხოლოდ 35 ლარით გაიზარდა და 450 ლარი შეადგინა. ამავე ასაკის მქონე პირთა პენსია მაღალმთიან დასახლებებში 540 ლარს გაუტოლდა. 70 წლამდე პირთა პენსია ასევე 35 ლარით გაიზარდა და 350 ლარს გაუტოლდა, ხოლო მაღალმთიან დასახლებაში - 420 ლარი შეადგინა.

აღნიშნული განსაკუთრებით ყურადსაღებია იმ ფონზეა, როდესაც 2024 წლის მონაცემებით, საქართველოში საარსებო შემწეობის მიმღები ბავშვების (16 წლამდე) რაოდენობა, თითქმის 250 000-ს შეადგენს და წინა წელთან შედარებით კი, სოციალურად დაუცველ ბავშვთა რაოდენობა 6,51%-ით გაიზარდა. გარდა ამისა, ერთი წლის განმავლობაში,[1] საარსებო დახმარების მიმღებთა რაოდენობა 47 ათასით გაიზარდა და რეკორდულ რიცხვს, 682, 739-ს გაუტოლდა, რაც საქართველოს მოსახლეობის 18.5%-ია.

[1] 2023 წლის სექტემბრიდან 2024 წლის სექტემბრამდე